მემორანდუმი № 01-08-17183-2018-4

ქ. თბილისი „02“ 04 2018 წ.

წინამდებარე მემორანდუმი დადებულია
ერთი მხრივ, საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტსა
და მეორე მხრივ, შპს „ბკ კაპიტალს“ შორის

მემორანდუმის მიზანი:

ითვალისწინებენ რა საქართველოში მშენებლობის განვითარებისა და ნორმალური ფუნქციონირების საქმეში კვალიფიციური კადრების უდიდეს როლს და სპეციალისტების მომზადებაში აკადემიური განათლებისა და პრაქტიკის ურთიერთკავშირის გადამწყვეტ მნიშვნელობას, მხარეები მიზნად ისახავენ ხელი შეუწყონ საქართველოში მშენებლობის განვითარებას, ამ დარგისთვის მაღალკვალიფიციური კადრების აღზრდის გზით.

მხარეები შეთანხმდნენ შემდეგზე:

1. **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი**

- საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი სასწავლო პროცესის წარმართვის და პროგრამების შედგენისას შეეცდება მოამზადოს იმ დარგის, პროფილისა და კვალიფიკაციის სპეციალისტები (ბაკალავრი, მაგისტრი, დოქტორი), რომლებიც მაქსიმალურად გაითვალისწინებენ შპს „ბკ კაპიტალის“ საჭიროებას;
- საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი შპს „ბკ კაპიტალის“ მოთხოვნათა შესაბამისად მოამზადებს მშენებლობის დარგის სპეციალისტებს და მიაწვდის კურსდამთავრებულთა სიას, მათ მონაცემებს, დახასიათებას და ინფორმაციას აკადემიური მოსწრებისა და გამოყენების სფეროს შესახებ.
- შპს „ბკ კაპიტალის“ შესაბამისი მოთხოვნების მიღების შემთხვევაში, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი დაამუშავებს და ჩაატარებს ურთიერთ შეთანხმებული პრობლემური ტექნიკური საკითხების გადაწყვეტისთვის საჭირო თეორიულ, ექსპერიმენტულ და საკონსულტაციო სამუშაოებს, შესრულების და ანაზღაურების შესაბამისად;
- შპს „ბკ კაპიტალისგან“ შესაბამისი მოთხოვნების მიღების შემთხვევაში, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი განახორციელებს მათთვის საჭირო საპროექტო და საკვლევ-საძიებო სამუშაოებს შესრულების ვადებისა და ანაზღაურების შესაბამისად;

- შპს „ბკ კაპიტალისგან“ შესაბამისი მოთხოვნების მიღების შემთხვევაში, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი ორგანიზაციას გაუწევს ტრენინგებს შპს „ბკ კაპიტალში“ დასაქმებულთა კვალიფიკაციის ასამაღლებლად და ამასთან, მიიწვევს მათ წამყვან სპეციალისტებს პედაგოგიური მოღვაწეობისათვის.

2. შპს „ბკ კაპიტალი“

- შპს „ბკ კაპიტალი“ (შესაბამისობის ფარგლებში) ხელს შეუწყობს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტებს გაიარონ პრაქტიკა მათი დაქვემდებარებაში მყოფ სამშენებლო ობიექტებზე;
- შესაძლებლობის ფარგლებში (შპს „ბკ კაპიტალის“ საწარმოო საჭიროებებიდან გამომდინარე) შესთავაზებს სამუშაოს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის კურსდამთავრებულებს, რომელთა ცოდნა და უნარ–ჩვევები დააკმაყოფილებს კომპანიის მოთხოვნებს;
- შპს „ბკ კაპიტალი“ თავისი საჭიროების შემთხვევაში, შესთავაზებს საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს პრობლემური ტექნიკური საკითხების დამუშავებას, დამატებითი შეთანხმების მიღწევის შემთხვევაში (ორმხრივად მისაღები ანაზღაურებით) და უზრუნველყოფს მათ, ამ სამუშაოს შესასრულებლად საჭირო მის ხელთ არსებული ინფორმაციით;
- შპს „ბკ კაპიტალი“ თავისი საჭიროებიდან გამომდინარე, გააგზავნის თავის თანამშრომლებს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებულ ტრენინგებზე, კვალიფიკაციის ასამაღლებელ კურსებზე, მიზნობრივ მაგისტრატურასა და დოქტორანტურაში;

მემორანდუმში დამატებებისა და ცვლილებების შეტანა ხდება მხარეთა შეთანხმებით.

მემორანდუმი ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს ხელშეკრულების რომელიმე მხარის მიერ მის შეწყვეტამდე ვადით.

მემორანდუმი შეიძლება შეწყდეს ნებისმიერი მხარის მიერ, მეორე მხარისთვის შეწყვეტამდე 30 დღით ადრე წერილობით შეტყობინების გაგზავნის გზით.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორი არჩილ ფრანგიშვილი	შპს „ბკ კაპიტალის“ გენერალური დირექტორი: რევაზ ქევანიშვილი